

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: მათემატიკა

გიორგი გოგნაძე

ზოგიერთი ტრიგონომეტრიული ჯამის და მათი საშუალოების
ასიმპტოტური წარმოდგენის შესახებ

მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ახოზაძე
ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2024 წელი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Exact and Natural Sciences

Doctoral Program: Mathematics

Giorgi Gognadze

On The Asymptotic Representation of Some Trigonometric Sums

The thesis work is performed to obtain a PhD academic degree in
Mathematics

Scientific Supervisor: **Teimuraz Akhobadze**
Doctor of Phy. Math

Tbilisi
2024 Year

აბსტრაქტი

ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობის საკითხი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფუნქციათა თეორიის მრავალი პრობლემების შესწავლაში; მათდამი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ჯამებადი ფუნქციის ფურიეს მწკრივი შეიძლება ყველგან განშლადი იყოს. გასული საუკუნის 40-ანი წლებიდან დაწყებული ინტესიური კვლევა მიმდინარეობს სხვადასხვა სივრცეში ფურიეს მწკრივის კერძო ჯამების შესაბამისი ფუნქციიდან გადახრის ასიმპტოტური შეფასების შესახებ.

პირველი შედეგი ლებეგის აზრით ინტეგრებადი ფუნქციიდან მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამების გადახრის შეფასების შესახებ მიღებული იქნა ლებეგის მიერ 1909 წელს. ლებეგის შედეგი დიდწილად მოიცავს მანამდე მიღებულ შეფასებებს და არ კარგავს თავის მნიშვნელობას დღესაც. ის არის რიგობრივად ზუსტი და მოხერხებულია გამოყენებებში. არსებობს ლებეგის შეფასების მრავალი განზოგადოება. 1935 წელს კოლმოგოროვმა მიიღო ზუსტი ასიმპტოტური შეფასება, როცა განსახილველი ფუნქცია არის შემოსაზღვრული და გააჩნია გარკვეულ რიგამდე წარმოებული. ამ მიმართულებით შემდეგი არსებითი ნაბიჯი გადადგა ნიკოლსკიმ, რომელმაც განაზოგადა კოლმოგოროვის შედეგები. ამასთანავე, მან მიიღო შეფასებები, როცა ფურიეს კერძო ჯამის ნაცვლად განიხილება ფეიერის კერძო ჯამი. კოლმოგოროვისა და ნიკოლსკის მითითებულმა კვლევებმა საფუძველი დაუდო ახალ მიმართულებას ფუნქციათა მიახლოების თეორიაში და ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობის თეორიაში, რომელიც ცნობილია კოლმოგოროვისა და ნიკოლსკის ამოცანის სახელით. ის გულისხმობს ასიმპტოტური ტოლობის პოვნას ფუნქციისთვის და მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივით, როდესაც განსახილველი ფუნქცია აკმაყოფილებს გარკვეულ თვისებებს.

60 წლების ბოლოს სტეპანეცის და ძიადიკის მიერ იქნა შემუშავებული მეთოდი, რომელიც ეყრდნობა კორნეიჩუკისა და სტეჩკინის ლემას, და რომლის მეშვეობით ვპოულობთ არამარტო ბირთვის ნულების განლაგებას, (ეს ბირთვები წარმოქმნილია

სხვადასხვა შეჯამებადობის დროს), არამედ ასიმპტოტურ ტოლობასაც. შესაბამისად, გაფართოვდა კორნეურუკისა და სტეჟკინის ლემის გამოყენების არეალი და შემუშავდა პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გახდა შესაძლებელი მივიღოთ კოლმოგორვისა და ნიკოლსკის ამოცანის ამოხსნის ახალი გზა. ზოგიერთი ფუნქციათა სივრცის შემთხვევაში ამ ამოცანის ამოხსნა ვერ ხერხდებოდა აქამდე ცნობილი მეთოდობის გამოყენებით.

70 წლების დასაწყისში ტაბერსკიმ განიხილა ლოკალურად ინტეგრებადი ფუნქციები, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ თვისებებს. ასეთი ფუნქციებისთვის მან განსაზღვრა და შეისწავლა განზოგადებული ფურიეს კოეფიციენტები, განზოგადებული ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების, შეუღლებული ტრიგონომეტრიული მწკრივებისა და მათი კერძო ჯამების ფეიერის საშუალოების კრებადობის ზოგიერთი საკითხი; ასევე, მიიღო რიმან-ლებეგის თეორემის ანალოგი, დინი-იანგის ტიპის კრიტერიუმი და სხვა შედეგებიც.

განზოგადებული ჩეზაროს საშუალოები რიცხვითი მწკრივებისთვის პირველად განიხილა კაპლანმა 1960 წელს. ახლობემ და ზვიადაძემ შეადარეს განზოგადებული ჩეზაროს საშუალოები α_n -ის ტერმინებში, და მიიღეს აუცილებელი და საკმარისი პირობები $(C, \alpha_n) \subset (C, \alpha)$ ჩართვისთვის და საკმარისი პირობა $(C, \alpha) \subset (C, \alpha_n)$ -სთვის. ახლობემ და ტეტუნაშვილმა გამოიკვლიეს განზოგადებული ჩეზაროს საშუალოები ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივებისთვის და მიიღეს მთელი რიგი შედეგები.

მოცემულ სადოქტორო ნაშრომში, ნაპოვნია H_ω კლასის ფუნქციების ასიმპტოტური ტოლობები დირიხლეს განზოგადებული ინტეგრალებისათვის. მიღებული შედეგებიდან, როგორც ერთ-ერთი კერძო შემთხვევა, გამომდინარეობს სტეჟანეცის შედეგები. ასევე მიღებულია ფურიეს მწკრივის კრებადობის ლებეგის ნიშანის ანალოგი განზოგადებული ჩეზაროს საშუალოებისათვის.

Abstract

The issue of convergence of Fourier trigonometric series plays a very significant role in the study of many problems in the theory of functions. Interest in them increased especially after it was discovered that the Fourier series of a summable function can diverge everywhere. Since the 1940s, intensive research has been carried out on the asymptotic estimation of the deviation between the corresponding function and the partial sums of the Fourier series in different spaces.

The first result concerning the evaluation of the deviation of the partial sums of the Fourier trigonometric series from an integrable function was obtained by Lebesgue in 1909. Lebesgue's result encompasses to a large extent the estimates obtained earlier and remains significant even today. It is both linearly accurate and convenient to use. There exist many generalizations of the Lebesgue estimate. In 1935, Kolmogorov discovered an exact asymptotic estimate when the function under consideration is bounded and has derivatives up to a certain order. The next significant advancement in this direction was made by Nikolsky, who generalized Kolmogorov's results and obtained estimates for the Fejer sums instead of the Fourier sums. The studies by Kolmogorov and Nikolsky laid the foundation for a new branch in the theory of function approximation and the summability of Fourier trigonometric series, known as the Kolmogorov-Nikolsky problem. This problem involves finding an asymptotic equality between a function and its Fourier trigonometric series when the function satisfies certain properties.

In the late 1960s, a method was developed by Stepanec and Dziadik, based on Kornichuk-Stechkin's lemma, through which not only the arrangement of the zeros of the kernel (obtained by considering different summations) could be found, but also asymptotic equality. Consequently, the use of Kornichuk-Stechkin's lemma was expanded, leading to the development of a procedure that provided a new approach to solving the Kolmogorov-Nikolsky problem. In certain function spaces, it was previously impossible to solve this problem using known methodologies.

In the early 1970s, Taberski explored locally integrable functions that satisfy specific properties. He defined generalized Fourier coefficients, generalized Fourier trigonometric series, and conjugate trigonometric series for such functions. Additionally, Taberski addressed problems related to the summation of Fejer averages of their partial sums. He also derived an analogue of the Riemann-Lebesgue theorem, a Dean-Young type criterion, and other related results.

The concept of generalized Cesàro averages for numerical series was initially introduced by Kaplan in 1960. Akhobadze and Zviadadze conducted a comparison of generalized Cesàro averages using α_n and established necessary and sufficient conditions for the inclusion of $(C, \alpha_n) \subset (C, \alpha)$, along with a sufficient condition for $(C, \alpha) \subset (C, \alpha_n)$. Subsequently, Akhobadze and Tetunashvili investigated generalized Cesàro averages for trigonometric Fourier series, yielding several results.

In this doctoral dissertation, asymptotic equations for class functions H_ω in generalized Dirichlet integrals are derived. It is worth noting that Stepanets' results are obtained as a special case of the results presented here. Additionally, the Lebesgue criterion for the convergence of Fourier series for generalized Cesàro means is established.

შინაარსი

აბსტრაქტი.....	3
Abstract.....	5
შესავალი	8
თავი I: განზოგადებული დირიხლეს ინტეგრალების ასიმპტოტური წარმოდგენები	16
1.1 განზოგადებული ფურიეს კოეფიციენტის ასიმპტოტური წარმოდგენა.....	16
1.1.1 განსაზღვრებები, აღნიშვნები, დამხმარე დებულებები	16
1.1.2 ძირითადი შედეგების ფორმულირება.....	19
1.1.3 ძირითადი შედეგის დამტკიცება.....	20
1.2 განზოგადებული დირიხლეს გულის ასიმპტოტური წარმოდგენა.....	32
1.2.1 განსაზღვრებები, აღნიშვნები, დამხმარე დებულებები	32
1.2.2 ძირითადი შედეგის ჩამოყალიბება.....	42
1.2.3 ძირითადი შედეგის დამტკიცება.....	43
თავი II: განზოგადებული ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების ჩეზაროს აზრით შეჯამებადობა.....	63
2.1 ლებეგის კრებადობის ნიშანი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის (C, α_n) , $-1 < \alpha_n < 1$, შეჯამებადობისთვის.....	63
2.1.1 განსაზღვრებები, აღნიშვნები, დამხმარე დებულებები	63
2.1.2 ძირითადი შედეგის ჩამოყალიბება.....	71
2.1.3 ძირითადი შედეგის დამტკიცება.....	72
დასკვნა	79
ლიტერატურა.....	80
გამოქვეყნებული ნაშრომები	85

შესავალი

ვთქვათ, f უწყვეტი და 2π - პერიოდული ფუნქციაა და

$$\frac{a_0}{2} + \sum_{k=1}^{\infty} (a_k \cos kx + b_k \sin kx)$$

მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივია, ხოლო

$$a_k = a_k(f) = \frac{1}{n} \int_{-\pi}^{\pi} f(t) \cos ktdt,$$

$$b_k = b_k(f) = \frac{1}{n} \int_{-\pi}^{\pi} f(t) \sin ktdt,$$

f ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტებია. $S_n(f; x)$ -ით აღვნიშნოთ f ფუნქციის ფურიეს მწკრივის n -ური კერძო ჯამი, ანუ

$$S_n(f; x) = \frac{a_0}{2} + \sum_{k=1}^n (a_k \cos kx + b_k \sin kx).$$

პირველი შედეგი, ლებეგის აზრით ლოკალურად ინტეგრებადი ფუნქციიდან მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამების გადახრის შეფასების შესახებ, მიღებული იქნა ლებეგის [20] მიერ 1909 წელს. მან დაამტკიცა, რომ

$$(1) \quad \rho_n(f; x) \stackrel{\text{def}}{=} |f(x) - S_n(f; x)| \leq (\ln n + 3) E_n(f),$$

სადაც $E_n(f)$ არის f ფუნქციის საუკეთესო მიახლოება თანაბარი მეტრიკით T_n ტრიგონომეტრიული პოლინომებით, რომელთა რიგი არ აღემატება n -ს :

$$E_n(f) = \inf_{T_n} \|f(\cdot) - T_n(\cdot)\|_{C_{2\pi}} = \inf_{T_n} \max_x |f(\cdot) - T_n(\cdot)|.$$

ამ მიმართულებით ასევე აღსანიშნავია ჯეკსონის (იხილე მაგალითად [17]) დებულებები, რომლებიც ეხება $E_n(f)$ -ით შეფასებებს. ლებეგის მოტანილი შედეგი დიდწილად შეიცავს მანამდე მიღებულ შესაბამის შედეგებს $\rho_n(f; x)$ სიდიდის შეფასების შესახებ და არ კარგავს თავის მნიშვნელობას დღესაც. ის არის რიგობრივად ზუსტი და მოხერხებულია გამოყენებებში. არსებობს ლებეგის შეფასების მრავალი განზოგადოება, მათ შორის ადგილი აქვს შემდეგ დებულებას: თუ f ფუნქციას აქვს შემოსაზღვრული, დაუშვათ 1-ით, r რიგის წარმოებული, მაშინ

$$E_n(f) < \frac{\pi}{2n^r},$$

ამასთან (1)-დან მივიღებთ

$$\rho_n(f; x) < \frac{\pi(\ln n + 3)}{2n^r}.$$

1935 წელს კოლმოგოროვმა [15] განიხილა სიდიდე

$$\varepsilon(W^r; S_n) = \sup_{f \in W^r} \|f(\cdot) - S_n(f; \cdot)\|_{C_{2\pi}},$$

სადაც W^r არის 2π -პერიოდული ისეთი f ფუნქციათა კლასი, რომელსაც გააჩნია r რიგის წარმოებული $f^{(r)}(x)$, $r \in \mathbb{N}$, და თ.ყ. $|f^{(r)}(x)| \leq 1$. მან $\varepsilon(W^r; S_n)$ -სთვის იპოვა ზუსტი ასიმპტოტური შეფასება:

$$\varepsilon(W^r; S_n) = \frac{4}{\pi^2} \frac{\ln n}{n^r} + O\left(\frac{1}{n^r}\right), \quad n \rightarrow \infty.$$

ამ მიმართულებით შემდეგი არსებითი ნაბიჯი, ეკუთვნის ნიკოლსკის [25-31], რომელმაც განაზოგადა ეს შედეგები $W^r H^\alpha$ კლასებზე ($W^r H^\alpha$ კლასი შეიცავს 2π -პერიოდულ f ფუნქციებს, რომლებსაც აქვს r რიგის უწყვეტი წარმოებულები, ამასთანავე, $|f^{(r)}(x) - f^{(r)}(x')| \leq |x - x'|^\alpha$, $0 < \alpha \leq 1$.)

კერძოდ, მან დაადგინა, რომ ნებისმიერი $r \geq 0$ და $0 < \alpha \leq 1$ რიცხებისათვის, მართებულია წარმოდგენა

$$\varepsilon(W^r H^\alpha, S_n) = \frac{2^{1+\alpha} \ln n}{\pi^2 n^{r+\alpha}} \int_0^{\frac{\pi}{2}} t^\alpha \sin t dt + O\left(\frac{1}{n^{r+\alpha}}\right).$$

ამის გარდა, ნიკოლსკიმ მიიღო ანალოგიური შეფასება, ჩეზაროს $\sigma_n(f; x)$ საშუალოებისთვის.

მოგვიანებით კორნეიჩუკმა [8] დაამტკიცა დებულება, რომელსაც უწოდებენ კორნეიჩუკი-სტეჟკინის ლემას. მან მიიღო შემდეგი სიდიდის შეფასება:

$$(2) \quad \delta(H_\omega[a, b]; \psi) = \sup_{f \in H_\omega[a, b]} \left| \int_a^b f(t) \psi(t) dt \right|,$$

სადაც $H_\omega[a, b]$ ისეთი f ფუნქციათა კლასია, რომელებიც $[a, b]$ -ზე აკმაყოფილებს პირობას

$$|f(x) - f(x')| \leq \omega(|x - x'|);$$

$\omega(t)$ ფიქსირებული უწყვეტობის მოდულია, ხოლო $\psi(t)$ ჯამეზადი ფუნქციაა, რომლის $[a, b]$ -ზე აღებული საშუალო მნიშვნელობა 0-ის ტოლია. ამასთან, ის თ.ყ. ინარჩუნებს ნიშანს, მაგალითად, (a, c) -ზე და (c, b) -ზე, $a < c < b$. (2) გამოსახულების შეფასება, როცა $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, არის ზუსტი, თანაც მოიცემა ცხადი სახით.

კორნეიჩუკი-სტეჟკინის ლემაზე დაყრდნობით სტეჟანეცმა მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულება. მოვიტანოთ ზოგიერთი მათგანი.

თეორემა 1. (სტეჟანეცი [36, თავი I, §4]) ნებისმიერი უწყვეტობის მოდულისთვის მართებულია შეფასება:

$$(3) \quad \sup_{f \in H_\omega} |a_n| = \sup_{f \in H_\omega} |b_n| \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{2t}{n}\right) \sin t dt.$$

თუ $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ (3)-ში მიიღწევა ტოლობა.

თეორემა 2. (ნიკოლსკი [25], სტეჟანეცი [36, თავი II, §5]) ნებისმიერი უწყვეტობის მოდულისთვის მართებულია შეფასება:

$$(4) \quad \varepsilon(H_\omega; S_n) \leq \frac{2}{\pi^2} \ln n \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{4t}{2n+1}\right) \sin t dt + O\left(\omega\left(\frac{1}{n}\right)\right), \quad n \rightarrow \infty.$$

თუ $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ (4)-ში მიიღწევა ტოლობა.

თეორემა 3. (სტეპანევი [36 თავი II, §5]) ნებისმიერი $\omega = \omega(t)$ უწყვეტობის მოდულისათვის მართებულია ასიმპტოტური ტოლობა:

$$\varepsilon(H_\omega, S_n) = \frac{2s_n}{\pi^2} \ln n + O\left(\omega\left(\frac{1}{n}\right)\right), \quad n \rightarrow \infty,$$

სადაც

$$s_n = \sup_{f \in H_\omega \left[\frac{\pi}{2n+1}, \frac{\pi}{2n+1} \right]} \left| \int_{-\frac{\pi}{2}}^{\frac{\pi}{2}} f\left(\frac{2t}{2n+1}\right) \sin t dt \right|.$$

თეორემა 4. (სტეპანევი [36 თავი II, §5]) ნებისმიერი $\omega = \omega(t)$ უწყვეტობის მოდულისთვის სამართლიანია ასიმპტოტური ტოლობა:

$$\varepsilon(H_\omega, S_n) = \Theta_\omega \frac{2}{\pi^2} \ln n \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{4t}{2n+1}\right) \sin t dt + O\left(\omega\left(\frac{1}{n}\right)\right),$$

$$\frac{2}{3} \leq \Theta_\omega \leq 1,$$

ამასთანავე, $\Theta_\omega = 1$, თუ $\omega(t)$ ამოზნექილი ფუნქციაა.

1974 ტაბერსკიმ განიხილა [37] შემდეგი სახის ჯამი

$$S_n(f; x) = \frac{a_0}{2} + \sum_{k=1}^n a_k^l \cos kx + b_k^l \sin kx,$$

სადაც

$$a_k^l = \frac{1}{l} \int_{-l}^l f(t) \cos \frac{k\pi t}{l} dt,$$

$$b_k^l = \frac{1}{l} \int_{-l}^l f(t) \sin \frac{k\pi t}{l} dt$$

და $x \in (-\infty, \infty)$, $l > 0$, $n = 1, 2, 3, \dots$, ამასთან, f არის ლოკალურად ინტეგრებადი ფუნქცია. უკანასკნელი ჯამი შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახის დირიხლეს ინტეგრალით

$$S_n^l(f; x) = \frac{1}{l} \int_{-l}^l f(u) D_n^l(u-x) du,$$

სადაც

$$D_n^l(t) = \frac{1}{2} + \sum_{k=1}^n \cos \frac{k\pi t}{l} = \frac{\sin \frac{(2n+1)\pi}{2l}}{2 \sin \frac{\pi t}{2l}}$$

არის დირიხლეს მოდიფიცირებული გული.

შევნიშნოთ, რომ თუ f არის ლოკალურად ინტეგრებადი 2π -პერიოდული ფუნქცია და $l = \pi$, მაშინ $S_n^l(f; x)$ ემთხვევა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამს.

ვთქვათ, მოცემულია $s_0, s_1, \dots$ მიმდევრობა. ვიტყვი, რომ $s_0, s_1, \dots$ მიმდევრობა (ან მწკრივი $u_0 + u_1 + u_2 + \dots$, რომლის კერძო ჯამები არის $s_0, s_1, \dots$) (C, α_n) შეჯამებადია s -სკენ, თუ

$$\sigma_n^{\alpha_n} \rightarrow s, \text{ როცა } n \rightarrow \infty,$$

სადაც

$$\sigma_n^{\alpha_n}(x) = \frac{1}{A_n^{\alpha_n}} \sum_{k=0}^n A_{n-k}^{\alpha_n-1} S_k(x),$$

α_n ნებისმიერი მიმდევრობაა, რომლისთვისაც $\alpha_n > -1$, და $S_k(x)$ არის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის k -ური კერძო ჯამი, ამასთან,

$$A_n^{\alpha_n} = \frac{(\alpha_n + 1) + \dots + (\alpha_n + n)}{n!}.$$

იმ შემთხვევაში, როცა α_n მუდმივი მიმდევრობაა: $\alpha_n = \alpha$, $n \in \mathbb{N}$, მაშინ $\sigma_n^{\alpha_n} = \sigma_n^\alpha$ არის ჩვეულებრივი ჩეზაროს საშუალოები.

ერთ-ერთი მეთოდი ფურიეს ტროგონომეტრიული მწკრივის წერტილოვანი კრებადობის შესამოწმებლად ეკუთვნის ლებეგს [19].

თეორემა 5. (ლებეგი) ვთქვათ, f არის 2π პერიოდული ლოკალურად ინტეგრებადი ფუნქცია და x წერტილში აკმაყოფილებს პირობებს:

$$(5) \quad h^{-1} \int_0^h |\varphi(x, t)| dt = o(1),$$

$$(6) \quad \int_0^h t^{-1} |\varphi(x, t) - \varphi(x, t+h)| dt = o(1), h \rightarrow +0,$$

სადაც

$$\varphi(x, t) = f(x+t) + f(x-t) - 2f(x).$$

მაშინ ფურიეს ტროგონომეტრიული მწკრივი კრებადია x წერტილში.

1930 წელს გერგენმა [13] გაუმჯობესა ლებეგის შედეგი, კერძოდ, მან მიიღო შემდეგი

თეორემა 6. (გერგენმი) ვთქვათ,

$$\Phi(x, t) = \int_0^t \varphi(x, u) du.$$

თუ $f \in L([0, 2\pi])$ და x წერტილში აკმაყოფილებს (6) პირობას და

$$(7) \quad h^{-1} \Phi(x, h) = o(1), h \rightarrow +0$$

პირობებს, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტროგონომეტრიული მწკრივი კრებადია x წერტილში.

1981 წელს საჰნიმ და უოტერმანმა [32] დაამტკიცეს

თეორემა 7. (საჰნი, უოტერმანი) ვთქვათ, $-1 < \alpha < 0$, სრულდება (5) პირობა და

$$\int_{\eta}^{\pi} t^{-1-\alpha} |\varphi(x, t) - \varphi(x, t + \eta)| dt = o(n^{\alpha}), \quad \eta = \frac{\pi}{n + \frac{\alpha+1}{2}} \rightarrow 0,$$

ამასთანავე,

$$(8) \quad \Phi(x, \pi) - \Phi(x, \pi - h) = o(h^{-\alpha}), \quad h \rightarrow +0,$$

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი (C, α) შეჯამებადია x წერტილში.

1964 წელს ჟიჟიაშვილს ([49]; იხილე აგრეთვე [50, თეორემა 2.2.1]), მიღებული ჰქონდა უფრო ძლიერი შედეგი, ვიდრე არის თეორემა 7. კერძოდ, მან დაამტკიცა, რომ პირობა (8) არ არის აუცილებელი.

თეორემა 8. (ჟიჟიაშვილი) ვთქვათ, $-1 < \alpha < 1$, სრულდება (7) და

$$(9) \quad h^{\alpha} \int_h^{\pi} t^{-1-\alpha} |\varphi(x, t) - \varphi(x, t + h)| dt = o(1), \quad h \rightarrow +0,$$

მაშინ, f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი (C, α) შეჯამებადია x წერტილში.

ზემოთ ნახსენები კოლმოგოროვისა და ნიკოლსკის კვლევებმა საფუძველი დაუდო ახალ მიმართულებას ფუნქციათა მიახლოების თეორიაში და ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების შეჯამებადობის თეორიაში, რომელიც ცნობილია კოლმოგოროვისა და ნიკოლსკის ამოცანის სახელით. ის გულისხმობს ასიმპტოტური ტოლობის პოვნას ფუნქციისა მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივით, როცა განსახილველი ფუნქცია აკმაყოფილებს გარკვეულ თვისებებს. ამ ამოცანის კვლევა, სხვადასხვა ფუნქციათა სივრცეების შემთხვევაში, დღესაც აქტუალურია. მას გააჩნია მდიდარი ისტორია და მიემდვნა მრავალი შრომა, მათ შორისაა: ნადნი [21-24], სტეჟკინი [33-34], ტელიაკოვსკი [38-42], ნიკოლსკი [25-31], ეფიმოვი [10-12], კორნეიჩუკი [17, 18], სტეპანევი [7, 8, 36], ძიადიკი [7, 8] ზვიადაძე [51] და მრავალი სხვა.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია H_{ω} კლასის ფუნქციები და ამ ფუნქციებისათვის მიღებულია 1-4 თეორემების ანალოგები ტაბერსკის მიერ შემოღებული დირიხლეს განზოგადებული ინტეგრალისათვის. აღნიშნული თეორემების დამტკიცება ეფუძნება კორნეიჩუკ-სტეჟკის ლემას. აღსანიშნავია, რომ

მიღებული შედეგებიდან, როგორც ერთ-ერთი კერძო შემთვევა, გამომდინარეობს სტეპანეცის 1-4 თეორემები.

შეჯამებადობა (C, α_n) მეთოდი რიცხვითი მწკრივებისთვის პირველად განიხილა კაპლანმა [14] 1960 წელს. ახოზაძემ და ზვიადზემ [6] შეადარეს (C, α_n) და (C, α) მეთოდების კრებადობა და მიიღეს α_n -ის ტერმინებში აუცილებელი და საკმარისი პირობები $(C, \alpha_n) \subset (C, \alpha)$ ჩართვისთვის და საკმარისი პირობა $(C, \alpha) \subset (C, \alpha_n)$ ჩართვისთვის. ახოზაძემ [1-5] და ტეტუნაშვილმა [43-48] გამოიკვლიეს (C, α_n) საშუალოების კრებადობა ფურიეს ტრიგონომეტრიული ჯამისთვის.

დისერტაციის მეორე თავში განხილილია (C, α_n) შეჯამებადობის ის საკითხი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივებისთვის. მიღებულია თეორემა 8-ის ანალოგი განზოგადებული ჩეზაროს საშუალოებისათვის. აღნიშნული თეორემა წარმოადგენს ფურიეს მწკრივის კრებადობის ლებეგის ნიშანის (თეორემა 5) განზოგადებას (C, α_n) შეჯამებადობისათვის.

დისერტაციის ძირითადი დებულების დასამტკიცებლად გამოყენებული იქნება: ჰარმონიული ანალიზის, ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის მეთოდები.

თავი I: განზოგადებული დირიხლეს ინტეგრალების ასიმპტოტური წარმოდგენები

დისერტაციის პირველ თავში განხილულია H_ω კლასის ფუნქციები და ამ ფუნქციებისათვის მიღებულია 1-4 თეორემების ანალოგები ტაბერსკის მიერ შემოღებული დირიხლეს განზოგადებული ინტეგრალებისათვის.

1.1 განზოგადებული ფურიეს კოეფიციენტის ასიმპტოტური წარმოდგენა

1.1.1 განსაზღვრებები, აღნიშვნები, დამხმარე დებულებები

განსაზღვრება 1.1 ვთქვათ, მოცემულია f ფუნქცია, რომელიც უწყვეტია $[a, b]$ -ზე, მაშინ ამ ფუნქციის უწყვეტობის მოდული აღინიშნება ასე $\omega(t) = \omega(f; t)$. ის განსაზღვრულია $[0, b-a]$ -ზე, და მოიცემა ტოლობებით:

$$\omega(t) = \omega(f; t) = \sup_{0 \leq h \leq t} \max_{a \leq x \leq b-h} |f(x+h) - f(x)| = \sup_{\substack{|x' - x''| \leq t, \\ x', x'' \in [a, b]}} |f(x') - f(x'')|.$$

განსაზღვრება 1.2 ვთქვათ, $\omega = \omega(t)$ ფიქსირებული უწყვეტობის მოდულია. ვიტყვი, რომ f ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია $[a, b]$ -ზე, ეკუთვნის $H_\omega[a, b]$ კლასს, თუ ნებისმიერი $t_1, t_2 \in [a, b]$ რიცხვებისათვის სამართლიანია უტოლობა

$$|f(t_1) - f(t_2)| \leq \omega(|t_1 - t_2|).$$

განსაზღვრება 1.3 ვიტყვი, რომ $\omega(t)$ არის ამოზნექილი უწყვეტობის მოდული $[0, b-a]$ -ზე, თუ ნებისმიერი $t_1, t_2 \in [0, b-a]$ რიცხვებისათვის სამართლიანია უტოლობა

$$\omega\left(\frac{t_1+t_2}{2}\right) \geq \frac{1}{2}(\omega(t_1)+\omega(t_2)).$$

ვთქვათ, ნებისმიერ $[a, b]$ მონაკვეთზე მოცემულია წერტილი c , $a < c < b$, და ჯამებადი ψ ფუნქცია, რომლისთვისაც თითქმის ყველგან (a, c) -ზე $\psi(x) > 0$ ($\psi(x) < 0$), ხოლო თითქმის ყველგან (c, b) -ზე $\psi(x) < 0$ ($\psi(x) > 0$) და $\int_a^b \psi(x) dx = 0$. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ ψ ფუნქცია ეკუთვნის $V_{a,b}^c$ კლასს და დავწერთ $\psi \in V_{a,b}^c$.

დავუშვათ, რომ

$$\delta_\omega(\psi) = \delta_\omega(\psi; H_\omega[a, b]) = \sup_{f \in H_\omega[a, b]} \left| \int_a^b f(x) \psi(x) dx \right|,$$

სადაც $\psi \in V_{a,b}^c$.

თეორემა 1.4 (კორნეიჩუკი [17]) ვთქვათ, $\omega = \omega(t)$ ნებისმიერი უწყვეტობის მოდულია, მაშინ

$$(1.1) \quad \delta_\omega(\psi) \leq \int_a^c |\psi(t)| \omega(\rho(t)-t) dt = \int_c^b |\psi(t)| \omega(t-\rho^{-1}(t)) dt,$$

სადაც ρ ფუნქცია განსაზღვრულია $[a, c]$ -ზე შემდეგი ტოლობით:

$$\Psi(x) = \Psi(\rho(x)), \quad a \leq x \leq c \leq \rho(x) \leq b, \quad \Psi(x) = \int_a^x \psi(t) dt,$$

სადაც ρ^{-1} არის ρ ფუნქციის შექცეული ფუნქცია. თუ ω ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ (1.1)-ის მარჯვენა მხარეში მიიღწევა ტოლობა, ამასთანავე, ამ შემთხვევაში ზუსტ ზედა საზღვარს აღწევს ისეთი ფუნქციისათვის $H_\omega[a, b]$ კლასიდან, რომელსაც აქვს სახე $K \pm f_0(x)$, სადაც K მუდმივია, ხოლო

$$(1.2) \quad f_0(x) = \begin{cases} -\int_a^x \omega'(\rho(t)-t) dt, & \text{if } x \in [a, c], \\ \int_c^x \omega'(t-\rho^{-1}(t)) dt, & \text{if } x \in [c, b]. \end{cases}$$

ამ შემთხვევაში $\delta_\omega(\psi)$ სიდიდე შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით

$$\delta_{\omega}(\psi) = \int_0^{b-a} \bar{\psi}(t) \omega'(t) dt,$$

სადაც $\bar{\psi}(t)$ არის $|\psi(t)|$ ფუნქციის კლებადი გადანაცვლება (იხ. მაგალითად [36] გვ. 18).

შედეგი 1.5 ვთქვათ, $\omega = \omega(t)$ ნებისმიერი უწყვეტობის მოდულია, $\psi(t) \in V_{a,b}^c$, $c = \frac{a+b}{2}$ და $\psi(t) = -\psi(2c-t)$, მაშინ

$$(1.3) \quad \delta_{\omega}(\psi) \leq \int_a^c |\psi(t)| \omega(2(c-t)) dt = \int_c^b |\psi(t)| \omega(2(t-c)) dt.$$

თუ ω ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ (1.3)-ის მარჯვენა მხარეში მიიღწევა ტოლობა, და, ამასთანავე, ზუსტ ზედა საზღვარს აღწევს ისეთი ფუნქციისათვის $H_{\omega}[a,b]$ კლასიდან, რომელსაც აქვს სახე $K \pm f_*(x)$, სადაც K მუდმივია, ხოლო

$$f_*(x) = \begin{cases} -\frac{1}{2} \omega(2(c-x)), & x \in [a, c], \\ \frac{1}{2} \omega(2(x-c)), & x \in [c, b]. \end{cases}$$

ამ შემთხვევაში $\delta_{\omega}(\psi)$ სიდიდე შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით

$$\delta_{\omega}(\psi) = \int_0^{b-a} \bar{\psi}(t) \omega'(t) dt.$$

1.1.2 ძირითადი შედეგების ფორმულირება

თეორემა 1.6 ნებისმიერი უწყვეტობის მოდულისთვის $\omega = \omega(t)$ მართებულია შემოკლება:

$$\sup_{f \in H_\omega} |a_n^f| \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2l}{\pi n} t\right) dt.$$

ამასთანავე, თუ ω არის შემოსაზღვრული, მაშინ

$$\sup_{f \in H_\omega} |b_n^f| \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2l}{\pi n} t\right) dt + O\left(\frac{1}{n}\right).$$

იმ შემთხვევაში, როცა ω არის ამოზნექილი უწყვეტობის მოდული, მაშინ ზედა ორ გამოსახულებაში მიიღწევა ტოლობა.

1.1.3 ძირითადი შედეგის დამტკიცება

განვიხილოთ

$$\sup_{f \in H_\omega} |a_n^l| = \sup_{f \in H_\omega} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right|.$$

ვინაიდან ნებისმიერი ფუნქცია შეგვიძლია წარმოვადგოთ როგორც ამავე ფუნქციის ლუწი და კეტი ნაწილების ჯამად,

$$f(x) = f_1(x) + f_2(x),$$

სადაც

$$f_1(x) = \frac{f(x) + f(-x)}{2},$$

$$f_2(x) = \frac{f(x) - f(-x)}{2},$$

ამიტომ თუ გავითვალისწინებთ ტოლობას $a_k^l(f_2) = 0$, მაშინ

$$\begin{aligned} \sup_{f \in H_\omega} |a_n^l| &= \\ &= \sup_{f \in H_\omega} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f_1(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\ &= \sup_{f \in H_{\omega,r}} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f_1(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\ &= \sup_{f \in H_{\omega,r}} \frac{2}{l} \left| \int_0^l f_1(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| =: e_n^l, \end{aligned}$$

სადაც $H_{\omega,r}$ არის H_ω -ის ქვესიმრავლე და შეიცავს მხოლოდ ლუწ ფუნქციებს. ამრიგად გვაქვს,

$$e_n^l \leq \frac{2}{l} \sum_{i=0}^{r-1} \sup_f \left| \int_{\frac{il}{n}}^{\frac{(i+1)l}{n}} f(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \frac{2}{l} \sum_{i=0}^{r-1} e_{n,l}^{(i)}.$$

$e_{n,l}^{(i)}$ -ის $i=0, \dots, n-1$ შესავსებლად გამოვიყენებთ კორნიჩუკის თეორემის შედეგს (1.1),

როცა

$$a_i = \frac{il}{n}, \quad b_i = \frac{(i+1)l}{n}, \quad c_i = \frac{(2i+1)l}{2n}, \quad \psi(t) = \cos \frac{n\pi t}{l}, \quad i=0, \dots, n-1$$

და ამასთანავე $\psi(t) = -\psi(2c_i - t)$. მართლაც,

$$\begin{aligned} -\psi(2c_i - t) &= -\cos \left[\frac{n\pi}{l} \left(2 \frac{(2i+1)l}{2n} \right) - t \right] = \\ &= -\cos \left[\pi(2i+1) - \frac{n\pi t}{l} \right] = \cos \frac{n\pi t}{l}. \end{aligned}$$

მაშასადამე,

$$e_{n,l}^{(i)} \leq \int_{\frac{il}{n}}^{\frac{(2i+1)l}{2n}} \left| \cos \frac{n\pi t}{l} \right| \omega \left(2 \left(\frac{2i+1}{2n} l - t \right) \right) dt.$$

ცვლადის გარდაქმნით $\frac{2i+1}{2n} l - t = x$ გვექნება

$$\begin{aligned} & - \int_{\frac{il}{n}}^0 \left| \cos \frac{n\pi}{l} \left(\frac{2i+1}{2n} l - x \right) \right| \omega(2x) dx = \\ &= \int_0^{\frac{l}{2n}} \sin \frac{n\pi t}{l} \omega(2t) dt = \\ &= \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2t}{n\pi} \right) dt. \end{aligned}$$

ამრიგად, გვაქვს

$$e_n^l \leq \frac{2}{l} \sum_{i=0}^{n-1} \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2t}{n\pi} \right) dt =$$

$$\begin{aligned}
&= \frac{2}{l} \frac{l}{n\pi} \sum_{i=0}^{n-1} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) dt = \\
&= \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) dt.
\end{aligned}$$

მაშასადამე,

$$\sup_{f \in H_\omega} |a_n^l| = e_n^l \leq \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) dt.$$

ვაჩვენოთ, რომ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულის შემთხვევაში უკანასკნელი უტოლობა შეიძლება შეიცვალოს ტოლობით. ამ მიზნით ყოველი ფიქსირებული i -სათვის $\left[\frac{il}{n}, \frac{i+1}{n}l\right]$ ავაგოთ შემდეგი ფუნქცია

$$\phi_i^l(x) = \begin{cases} -\frac{1}{2} \omega\left(2\left(\frac{2i+1}{2n}l - x\right)\right), & x \in \left(\frac{il}{n}, \frac{2i+1}{2n}l\right] \\ \frac{1}{2} \omega\left(2\left(x - \frac{2i+1}{2n}l\right)\right), & x \in \left(\frac{2i+1}{2n}l, \frac{i+1}{n}l\right]. \end{cases}$$

ახლა განვიხილოთ შემდეგი სახის ინტეგრალი

$$\begin{aligned}
&\left| \int_{\frac{i}{n}l}^{\frac{i+1}{n}l} \phi_i^l(x) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\
&= \left| - \int_{\frac{i}{n}l}^{\frac{2i+1}{2n}l} \frac{1}{2} \omega\left(2\left(\frac{2i+1}{2n}l - x\right)\right) \cos \frac{n\pi x}{l} dx + \right. \\
&\quad \left. + \int_{\frac{2i+1}{2n}l}^{\frac{i+1}{n}l} \frac{1}{2} \omega\left(2\left(x - \frac{2i+1}{2n}l\right)\right) \cos \frac{n\pi x}{l} dx \right|.
\end{aligned}$$

პირველი შესაკრებში ცვლადის $\frac{2i+1}{2n}l - x = t$ გარდაქმნით დავასკვნით:

$$\begin{aligned}
& \int_{\frac{l}{2n}}^0 \frac{1}{2} \omega(2t) \cos \frac{n\pi}{l} \left(\frac{2i+1}{2n} l - t \right) dt = \\
& = \int_{\frac{l}{2n}}^0 \frac{1}{2} \omega(2t) \cos \left[\frac{\pi}{2} (2i+1) - \frac{n\pi}{l} t \right] dt.
\end{aligned}$$

მე-2 შესაკრებში ცვლადის $x - \frac{2i+1}{2n} l = t$ გარდაქმნით მივიღებთ:

$$\begin{aligned}
& \int_{\frac{2i+1}{2n} l}^{\frac{i+1}{n} l} \frac{1}{2} \omega \left(2 \left(x - \frac{2i+1}{2n} l \right) \right) \cos \frac{n\pi x}{l} dx = \\
& = \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \cos \frac{n\pi}{l} \left(t + \frac{2i+1}{2n} l \right) dt = \\
& = \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \cos \left[\frac{\pi}{2} (2i+1) + \frac{n\pi}{l} t \right] dt
\end{aligned}$$

ამრიგად,

$$\begin{aligned}
& \left| \int_{\frac{i}{n} l}^{\frac{i+1}{n} l} \phi'_i(x) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\
& = \left| - \int_{\frac{i}{n} l}^{\frac{2i+1}{2n} l} \frac{1}{2} \omega \left(2 \left(\frac{2i+1}{2n} l - x \right) \right) \cos \frac{n\pi x}{l} dx + \right. \\
& \quad \left. + \int_{\frac{2i+1}{2n} l}^{\frac{i+1}{n} l} \frac{1}{2} \omega \left(2 \left(x - \frac{2i+1}{2n} l \right) \right) \cos \frac{n\pi x}{l} dx \right| = \\
& = \left| \int_{\frac{l}{2n}}^0 \frac{1}{2} \omega(2t) \cos \left[\frac{\pi}{2} (2i+1) - \frac{n\pi}{l} t \right] dt + \right. \\
& \quad \left. + \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \cos \left[\frac{\pi}{2} (2i+1) + \frac{n\pi}{l} t \right] dt \right| =
\end{aligned}$$

$$\begin{aligned}
&= \left| \int_0^{\frac{l}{2p}} \frac{1}{2} \omega(2t) \left(\cos \left[\frac{\pi}{2} (2i+1) - \frac{n\pi}{l} t \right] - \cos \left[\frac{\pi}{2} (2i+1) + \frac{n\pi}{l} t \right] \right) dt \right| = \\
&= \left| \int_0^{\frac{l}{2p}} \frac{1}{2} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} t \sin \frac{\pi}{2} (2i+1) dt \right| = \\
&= \int_0^{\frac{l}{2p}} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} t dt = \\
&= \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega \left(\frac{2l}{n\pi} t \right) \sin t dt.
\end{aligned}$$

მაშასადამე,

$$\left| \int_{\frac{l}{n}}^{\frac{i+1}{n}l} \phi_i^l(x) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega \left(\frac{2l}{n\pi} t \right) \sin t dt.$$

ვთქვათ,

$$f^*(x) = (-1)^{i+1} \phi_i^l(x), \text{ როცა } x \in \left[\frac{il}{n}, \frac{i+1}{n}l \right], \quad i = \overline{0, n-1}.$$

ამასთანავე შევნიშნოთ, რომ $f^*(x) \cos \frac{n\pi x}{l}$ არის დადებითი ყოველი $i = \overline{0, n-1}$ -თვის.

ამიტომ

$$\begin{aligned}
&\left| \frac{2}{l} \int_0^l f^*(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\
&= \frac{2}{l} \sum_{i=0}^{n-1} (-1)^{i+1} \int_{\frac{il}{n}}^{\frac{i+1}{n}l} \phi_i^l(t) \cos \frac{n\pi t}{l} dt = \\
&= \frac{2}{l} \frac{l}{n\pi} \sum_{i=0}^{n-1} \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega \left(\frac{2l}{n\pi} t \right) \sin t dt = \\
&= \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt
\end{aligned}$$

და $f^*(x) \in H_\omega$. მაშასადამე,

$$\sup_{f \in H_\omega} |a_n^l(f)| \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) dt$$

და, როცა $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია, მაშინ ტოლობას აქვს ადგილი.

განვიხილოთ

$$\sup_{f \in H_\omega} |b_n^l| = \sup_{f \in H_\omega} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right|.$$

ვინაიდან ნებისმიერი ფუნქცია შეგვიძლია წარმოვადგოთ როგორც ამავე ფუნქციის ლუწ და კეტი ნაწილების ჯამად,

$$f(x) = f_1(x) + f_2(x),$$

სადაც

$$f_1(x) = \frac{f(x) + f(-x)}{2},$$

$$f_2(x) = \frac{f(x) - f(-x)}{2},$$

ამიტომ თუ გავითვალისწინებთ რომ $b_k^l(f_1) = 0$, მაშინ

$$\begin{aligned} \sup_{f \in H_\omega} |b_n^l| &= \\ &= \sup_{f \in H_\omega} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\ &= \sup_{f \in H_\omega} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f_1(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt + \int_{-l}^l f_2(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\ &= \sup_{f \in H_\omega} \frac{1}{l} \left| \int_{-l}^l f_2(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| = \\ &= \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} \frac{2}{l} \left| \int_0^l f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| \stackrel{\text{def}}{=} \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} |I(f)|, \end{aligned}$$

სადაც $H_{\omega, \text{odd}}$ არის H_ω -ის ქვესიმრავლე და შეიცავს მხოლოდ კენტ ფუნქციებს.

განვიხილოთ, შემდეგი ფუნქცია

$$s(t) = \begin{cases} \sin \frac{n\pi t}{l}, & t \in \left[\frac{l}{2n}, l - \frac{l}{2n} \right] \\ 0, & t \in \left[0, \frac{l}{2n} \right] \cup \left[l - \frac{l}{2n}, l \right], \end{cases}$$

მაშინ ნებისმიერი კენტი, თანაბრად უწყვეტი, შემოსაზღვრული f ფუნქციისათვის

$$\begin{aligned} & \frac{2}{l} \int_0^l f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt = \\ & = \frac{2}{l} \int_0^l f(t) s(t) dt + \frac{2}{l} \int_0^{\frac{l}{2n}} f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt + \frac{2}{l} \int_{\frac{l(2n-1)}{2n}}^l f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt. \end{aligned}$$

შევაფასოთ, ბოლო ორი წევრი და გავითვალისწინოთ, რომ f ფუნქცია არის კენტი (ამიტომ $f(0)=0$).

$$\begin{aligned} & \left| \frac{2}{l} \int_0^{\frac{l}{2n}} f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| \leq \\ & \leq \frac{2}{l} \int_0^{\frac{l}{2n}} |f(t)| dt = \\ & = \frac{2}{l} \int_0^{\frac{l}{2n}} |f(t) - f(0)| dt \leq \\ & \leq \frac{2}{l} \int_0^{\frac{l}{2n}} \omega(t) dt = \\ & \leq \frac{1}{n} \omega\left(\frac{l}{2n}\right) = O\left(\frac{1}{n}\right). \end{aligned}$$

განვიხილოთ ბოლო შესაკრები

$$\begin{aligned} & \left| \frac{2}{l} \int_{\frac{l(2n-1)}{2n}}^l f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| \leq \\ & \leq \frac{2}{l} \int_{\frac{l(2n-1)}{2n}}^l |f(t) - f(0)| dt \leq \\ & \leq \frac{2}{l} \int_{\frac{l(2n-1)}{2n}}^l \omega(t) dt \leq \\ & \leq \frac{1}{n} \omega(l) = O\left(\frac{1}{n}\right). \end{aligned}$$

ამრიგად,

$$I(f) = \frac{2}{l} \int_0^l f(t) s(t) dt + O\left(\frac{1}{n}\right).$$

მაშასადამე,

$$\begin{aligned} & \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} |I(f)| = \\ &= \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} \left| \frac{2}{l} \int_0^l f(t) s(t) dt + O\left(\frac{1}{n}\right) \right| \leq \\ &\leq \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} \left| \frac{2}{l} \int_0^l f(t) s(t) dt \right| + O\left(\frac{1}{n}\right) = \\ &= \frac{2}{l} \sum_{i=0}^{n-2} \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} \left| \int_{(2i+1)\frac{l}{2n}}^{(2i+3)\frac{l}{2n}} f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| + O\left(\frac{1}{n}\right). \end{aligned}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა

$$e_{n,l}^{(i)} \stackrel{\text{def}}{=} \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} \left| \int_{(2i+1)\frac{l}{2n}}^{(2i+3)\frac{l}{2n}} f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right|.$$

უკანასკნელის შესაფასებლად გამოვიყენებთ კორნეიჩუკის თორემის შედეგს, როცა

$$\psi(t) = \sin \frac{n\pi t}{l}, \quad a_i = (2i+1)\frac{l}{2n}, \quad b_i = (2i+3)\frac{l}{2n}, \quad c_i = (i+1)\frac{l}{n}, \quad i = 0, \dots, n-2.$$

ამასთნავე, $\psi(t) = -\psi(2c_i - t)$. მართლაც,

$$\begin{aligned} & -\psi(2c_i - t) = \\ &= -\sin \left[\frac{n\pi}{l} \left(2\frac{(i+1)l}{n} - t \right) \right] = \\ &= -\sin \left[2\pi(i+1) - \frac{n\pi t}{l} \right] = \sin \frac{n\pi t}{l}. \end{aligned}$$

მაშასადამე,

$$e_{n,l}^{(i)} \leq \int_{(2i+1)\frac{l}{2n}}^{(i+1)\frac{l}{n}} \left| \sin \frac{n\pi t}{l} \right| \omega \left(2 \left((i+1)\frac{l}{n} - t \right) \right) dt.$$

ცვლადის $(i+1)\frac{l}{n}-t=y$ გარდაქმნით მივიღებთ:

$$\begin{aligned}
& \int_{(2i+1)\frac{l}{2n}}^{(i+1)\frac{l}{n}} \left| \sin \frac{n\pi t}{l} \right| \omega \left(2 \left((i+1)\frac{l}{n} - t \right) \right) dt = \\
& = - \int_{\frac{l}{2n}}^0 \left| \sin \left(\pi(i+1) - \frac{n\pi}{l} t \right) \right| \omega(2t) dt = \\
& = - \int_{\frac{l}{2n}}^0 \left| \sin \frac{n\pi}{l} t \right| \omega(2t) dt = \\
& = \int_0^{\frac{l}{2n}} \sin \frac{n\pi}{l} t \omega(2t) dt = \\
& = \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt.
\end{aligned}$$

ამრიგად,

$$\begin{aligned}
& \frac{2}{l} \sum_{i=0}^{n-2} \sup_{f \in H_{\omega, \text{odd}}} \left| \int_{(2i+1)\frac{l}{2n}}^{(2i+3)\frac{l}{2n}} f(t) \sin \frac{n\pi t}{l} dt \right| + O\left(\frac{1}{n}\right) \leq \\
& \leq \frac{2}{l} \sum_{i=0}^{n-2} \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt + O\left(\frac{1}{n}\right) = \\
& = \frac{2}{l} \frac{l(n-1)}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt + O\left(\frac{1}{n}\right) = \\
& = \frac{n-1}{n} \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt + O\left(\frac{1}{n}\right) = \\
& = \left(1 - \frac{1}{n}\right) \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt + O\left(\frac{1}{n}\right) \leq \\
& \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega \left(\frac{2lt}{n\pi} \right) dt + O\left(\frac{1}{n}\right).
\end{aligned}$$

მაშასადამე,

$$\sup_{f \in H_\omega} |b_n^l| \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) dt + O\left(\frac{1}{n}\right).$$

განვიხილოთ ფუნქცია

$$\phi_i^l(x) = \begin{cases} -\frac{1}{2} \omega(2x), & x \in \left[0, \frac{l}{2n}\right] \\ -\frac{1}{2} \omega\left(2\left(\frac{i+1}{n}l - x\right)\right), & x \in \left[\frac{2i+1}{2n}l, \frac{i+1}{n}l\right] \\ \frac{1}{2} \omega\left(2\left(x - \frac{i+1}{n}l\right)\right), & x \in \left[\frac{i+1}{n}l, \frac{2i+3}{2n}l\right] \\ \frac{1}{2} \omega(2(l-x)), & x \in \left[l - \frac{l}{2n}, l\right] \end{cases}, \quad i = \overline{0, n-2}.$$

შევნიშნოთ, რომ

$$\left| \int_{\frac{(2i+1)l}{2n}}^{\frac{(2i+3)l}{2n}} \phi_i^l(x) \sin \frac{n\pi x}{l} dx \right| = \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) dt.$$

მართლაც,

$$\begin{aligned} & \left| \int_{\frac{(2i+1)l}{2n}}^{\frac{(2i+3)l}{2n}} \phi_i^l(x) \sin \frac{n\pi x}{l} dx \right| = \\ & = \left| - \int_{\frac{(2i+1)l}{2n}}^{\frac{i+1}{n}l} \frac{1}{2} \omega\left(2\left(\frac{i+1}{n}l - x\right)\right) \sin \frac{n\pi x}{l} dx + \int_{\frac{i+1}{n}l}^{\frac{2i+3}{2n}l} \frac{1}{2} \omega\left(2\left(x - \frac{i+1}{n}l\right)\right) \sin \frac{n\pi x}{l} dx \right|. \end{aligned}$$

ცვლადის $\frac{i+1}{n}l - x = t$ გარდაქმნით გვქვს:

$$\begin{aligned} & \left| \int_{\frac{l}{2n}}^0 \frac{1}{2} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} \left(\frac{i+1}{n}l - t\right) dt + \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} \left(t + \frac{i+1}{n}l\right) dt \right| = \\ & = \left| - \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \sin \left(\pi(i+1) - \frac{n\pi}{l}t\right) dt + \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \sin \left(\pi(i+1) + \frac{n\pi}{l}t\right) dt \right| = \\ & = \left| \int_0^{\frac{l}{2n}} \frac{1}{2} \omega(2t) \left[\sin \left(\pi(i+1) + \frac{n\pi}{l}t\right) - \sin \left(\pi(i+1) - \frac{n\pi}{l}t\right) \right] dt \right| = \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
&= \left| \int_0^{\frac{l}{2p}} \frac{1}{2} \omega(2t) \left[\sin\left(\frac{n\pi}{l}t + \pi(i+1)\right) + \sin\left(\frac{n\pi}{l}t - \pi(i+1)\right) \right] dt \right| = \\
&= \left| \int_0^{\frac{l}{2p}} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} t \cos \pi(i+1) dt \right| = \\
&= \int_0^{\frac{l}{2p}} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} t dt .
\end{aligned}$$

კვლავ ცვლადის $\frac{n\pi}{l}t = y$ გარდაქმნით გვაქვს:

$$\int_0^{\frac{l}{2p}} \omega(2t) \sin \frac{n\pi}{l} t dt = \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) \sin t dt .$$

ვთქვათ,

$$f^*(x) = (-1)^{i+1} \phi_i^l(x), \text{ როცა } x \in \left[\frac{2i+1}{2n}l, \frac{2i+3}{2n}l \right], i = \overline{0, n-2}.$$

ამასთანავე შევნიშნოთ, რომ

$$f^*(x) \sin \frac{n\pi x}{l}$$

არის დადებითი ყოველი $i = \overline{0, n-2}$ -თვის და $f^*(x) \in H_{\omega, \text{odd}}$. ამიტომ

$$\begin{aligned}
&|I(f^*)| = \\
&= \left| \frac{2}{l} \int_0^l f^*(t) s(t) dt + O\left(\frac{1}{n}\right) \right| = \\
&= \left| \frac{2}{l} \int_{\frac{l}{2n}}^{l - \frac{l}{2n}} (-1)^{i+1} \phi_i^l(x) \sin \frac{n\pi t}{l} dt + O\left(\frac{1}{n}\right) \right| = \\
&= \frac{2}{l} \sum_{i=0}^{n-2} \int_{\frac{2i+1}{2n}l}^{\frac{2i+3}{2n}l} (-1)^{i+1} \phi_i^l(x) \sin \frac{n\pi t}{l} dt + O\left(\frac{1}{n}\right) = \\
&= \frac{2}{l} \frac{l}{n\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \omega\left(\frac{2lt}{n\pi}\right) \sin t dt (n-1) + O\left(\frac{1}{n}\right) =
\end{aligned}$$

$$\begin{aligned}
&= \left(1 - \frac{1}{n}\right) \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2t}{n\pi}\right) dt + O\left(\frac{1}{n}\right) = \\
&= \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2t}{n\pi}\right) dt + O\left(\frac{1}{n}\right).
\end{aligned}$$

ამრიგად,

$$\sup_{f \in H_\omega} |b'_n| \leq \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \sin t \omega\left(\frac{2t}{n\pi}\right) dt + O\left(\frac{1}{n}\right)$$

და ტოლობას აქვს ადგილი, როცა $\omega(t)$ ამოზნექილი უწყვეტობის მოდულია.

1.2 განზოგადებული დირიხლეს გულის ასიმპტოტური წარმოდგენა

1.2.1 განსაზღვრებები, აღნიშვნები, დამხმარე დებულება

განსაზღვრება 1.7 ვთქვათ, f თანაბრად უწყვეტი ფუნქცია $\mathbb{R}$ -ზე. ვიტყვი, რომ $f \in H_\omega$ თუ ყოველი $t_1, t_2 \in \mathbb{R}$ სამართლიანია:

$$|f(t_1) - f(t_2)| \leq \omega(|t_1 - t_2|),$$

სადაც $\omega(t)$ არის უწყვეტობის მოდული.

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$(1.3) \quad \begin{aligned} \mathcal{E}(H_\omega; S_n^l) &\stackrel{\text{def}}{=} \sup_{f \in H_\omega} \sup_{x \in \mathbb{R}} |S_n^l(f; x) - f(x)| = \\ &= \sup_{f \in H_\omega} \left\| \frac{1}{l} \int_{-l-x}^{l-x} [f(x+t) - f(x)] D_n^l(t) dt \right\|_C. \end{aligned}$$

დებულება 1.8 ნებისმიერი $f \in H_\omega$ და $0 < a < x < b < l - \varepsilon < l$ მართებულია შეფასება:

